**პროექტი**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**განკარგულება N**

2023 წლის ნოემბერი

ქ. ოზურგეთი

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „ნარჩენების მართვის 2023-2027 წლების სამოქმედო მუნიციპალური გეგმის“ დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექქსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მე-13 მუხლისა და „საქართველოს ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის N160 დადგენილების შესაბამისად:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „ნარჩენების მართვის 2023-2027 წლების მუნიციპალური სამოქმედო გეგმა“ დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **დავით დარჩია**